საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW - PUBLIC SAFETY COMMAND CENTER „112“
OF THE MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 7 22 00871741

04/04/2022

ქალბატონ ანი ხარშილაძეს

ელფოსტა: *foi+request-491-da1c84b2@askgov.ge*

ქალბატონო ანი,

მიმდინარე წლის 28 მარტის № 763704 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ შსს სსიპ -საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი ,,112“ წარმოადგენს გადაუდებელი დახმარების ერთიან ნომერს, რომელიც იღებს გადაუდებელი დახმარებისთვის საჭირო პირველად ინფორმაციას, რაც მნიშვნელოვანია შემთხვევის პრიორიტეტის და მასზე რეაგირებისათვის გასაგზავნი გადაუდებელი დახმარების რესურსის განსასაზღვრად.

გაცნობებთ, რომ შსს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ში შემოსული შეტყობინებების კლასიფიკაცია ხდება ზარის ინიციატორის მიერ მოწოდებული პირველადი ინფორმაციის საფუძველზე. თითოეულ განხორციელებულ ზარზე „112“-ის ოპერატორის (ზარის მიმღების) მიერ პროგრამულად განისაზღვრება პრობლემის ანუ ინციდენტის ტიპი. ინციდენტის ტიპის მინიჭების მიზანია არა შეტყობინების ზუსტი შინაარსობრივი შესაბამისობის დადგენა საკანონმდებლო დისპოზიციასთან მიმართებით, არამედ შემთხვევის პრიორიტეტის და მასზე რეაგირებისათვის გასაგზავნი გადაუდებელი დახმარების რესურსის განსაზღვრა.

„112“-ის მიერ შსს-ს უფლებამოსილი დანაყოფებისათვის გადასაცემი ინციდენტის ტიპები განსაზღვრულია შს მინისტრის 2020 წლის 6 აპრილის N30 ბრძანებით.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ში, ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით შემოსული შეტყობინებები ერთიანდება რამდენიმე ინციდენტის ტიპის ქვეშ.

მოგახსენებთ, რომ მოკლებული ვართ შესაძლებლობას, ძალადობასთან დაკავშირებით შემოსული შეტყობინებებიდან გამოვყოთ მხოლოდ ქალთა მიმართ ჩადენილი ძალადობის ფაქტები და წარმოგიდგინოთ შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაცია, ვინაიდან არ ხდება მონაცემების დამუშავება სქესის მიხედვით.

პატივისცემით,

საჯარო სამართლის იურიდიული
პირი-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის
ცენტრი ,,112" ადმინისტრაცია (სამმართველო)
უფროსი **ლაშა ჩახავა**